ПРОФЕСИУЛИ მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 23 0000936657

27/07/2023

**,,სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 მარტის №350586 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced)“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ'' პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 28 მარტის №350586 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №932412 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

**დანართი**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01545 | მონაცემთა მართვა და ანალიზი (MS Excel Advanced) | პროფესიული მომზადება | მესამე | 9 (1)<br>6(2) | ქართული | 42 | ქ. თბილისი,<br>გ. ფანჯიკიძის ქ. №3 |

- (1) აღნიშნავს პროგრამას, რომელიც ხორციელდება პირისპირ სწავლების ფორმით

- (2) აღნიშნავს პროგრამას, რომელიც ხორციელდება დისტანციური სწავლების ფორმით